ბიზნესის ორგანიზაცია ინტერნეტის ქსელში

ქეთევან მდინარაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია ელექტრონული კომერციის თეორიული და პარაქტიკული ასპექტები. ასახულია ინტერნეტის ქსელში ბიზნესის წარმოების ეფექტიანობა, რასაც ადასტურებს აღნიშნულ საკითხზე მიძღვნილი მრავალი ნაშრომი. ინტერნეტი კომპანიებს მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს. ყალიბდება შრომისა და კაპიტალის ახალი ბაზრები, ჩნდება შემოსავლის ახალი ნაკადები. მისი საშუალებით ირღვევა ქვეყნებს შორის გეოგრაფიული საზღვრები. ეკონომიკის ახალი სექტორის – ინტერნეტ-ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ძალზე პერსპექტიულია. მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო იზრდება.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ბიზნესი. ინტერნეტ-ეკონომიკა. კორპორატიული ვებ-საიტი. ინტერნეტ-მაღაზია. ინტერნეტ-აუქციონი. ინფორმაციული ბიზნეს-პორტალი. ინტერნეტ-პორტალი. ინტერნეტ-მარკეტინგი. ინტერნეტ-ბანკინგი.

1. შესავალი

ინტერნეტის გამოყენება ბიზნესში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. ამჟამად, ინტერნეტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციისათვის დამატებითი არხი, არამედ, იმდენად რამდენადაც იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, იგი მარკეტინგული ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას ბიზნესში მიღებულია ეწოდოს „ინტერნეტ-ეკონომიკა". მისი გამოყენებით ძირეულად იცვლება ბიზნესი. ეს ყველაზე მეტად შესამჩნევია მაღალი ტექნოლოგიების სფეროში, მაგრამ დღესდღეობით იგი სხვა დარგებშიც აღწევს, როგორიცაა: მანქანათმშენებლობა, ქიმია, ბიოტექნოლოგია, მედიცინა, საფინანსო და საფონდო ბაზრები და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე ინტერნეტის გამოყენება ბიზნესში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. ამჟამად, ინტერნეტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციისათვის დამატებითი არხი, არამედ, იმდენად რამდენადაც იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, იგი მარკეტინგული ამოცანების გადაწყვეტის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

წარმოებას განვითარებისა და გაფართოებისთვის ესაჭიროება თავისი საქმიანობის საზოგადოებისათვის გაცნობა. ამისათვის ბევრი საშუალება არსებობს. ერთ-ერთი, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საინფორმაციო ბიზნეს-პორტალზე დარეგისტრირება. ბიზნეს-პორტალი – ვებ-გვერდი – ეს არის სხვადასხვა რესურსებისა და სერვისების სისტემური მრავალდონიანი გაერთიანება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პორტალი – ეს არის „ელექტრონული ბიბლიოთეკა", რომელიც დაყოფილია ხარისხობრივი და რაოდენობრივი მასალის შემცველ თემატურ განყოფილებებად, რომელთა განახლება სისტემატურად ხორციელდება.

2. ელექტრონული ბიზნესის ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით იქმნება სრულიად ახალი ინტერნეტ კომპანიები, რომლებიც ინტერნეტის შესაძლებლობებით ქმნიან საქონლისა და მომსახურების მაღალეფექტიან ელექტრონულ ბაზრებს, ერთმანეთთან აკავშირებენ მიმწოდებელსა და მომხმარებელს და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებების გამოყენებით ახორციელებენ „ყიდვა-გაყიდვის" აქტებს. ეს არის „ელექტრონული კომერცია", რომელიც ინტერნეტ-ეკონომიკის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

„ელექტრონული კომერცია" ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება. „Forester Reserch" – ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2006 წელს ელექტრონული კომერციის სფეროში განხორციელებული ოპერაციების მოცულობამ ევრო კავშირის ქვეყნებში 2.1 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც ბიზნეს-ოპერაციების საერთო მოცულობის 22 პროცენტია. გაყიდვათა მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ელექტრო მოწყობილობებზე, ქიმიურ პროდუქციაზე და სატრანსპორტო მომსახურებაზე. გარდა ამისა, „Iandex"-ის გამოთვლებით რუსეთის ინტერნეტ ვაჭრობის საცალო ბაზარი 42 პროცენტით გაიზარდა. მომხმარებლებისაგან მოთხოვნა იყო ელექტრო საქონელზე, კომპიუტერებზე, ფოტოსაქონელზე, ტელეფონებზე, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე [1].

ტრადიციულად, ფირმები ინვესტიციებს დებენ საწარმოს შიგნით და ყურადღებას ამახვილებენ საწარმოს ცალკეული რგოლის ეფექტიანობის ამაღლებაზე. საპირისპიროდ, "ინტერნეტ-ეკონომიკა" მიმართულია გარე გარემოსთან კავშირებისა და გარიგებების დამყარებისაკენ. ინტერნეტ-ეკონომიკაში ინვესტიცია არა მარტო მაღალმომგებიანია, არამედ სამყაროს განვითარების მყარი საფუძველია. იცვლება გეოეკონომიკური სიტუაცია შრომისა და კაპიტალის ბაზრებზე, საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, სოციალურ სფეროში [3]. ინტერნეტ-ეკონომიკის სფეროს განვითარებისათვის შემუშავებულია ბევრი რეკომენდაცია და რეზოლუცია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ როგორიცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ.

3. ინტერნეტ-ბიზნესის ინსტრუმენტები

ინტერნეტ-ბიზნესი ბიზნესის ნებისმიერი სფეროს განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ინტერნეტ-ბიზნესით შესაძლებელია:

- ფირმის კორპორატიული ინფორმაციის გავრცელება მთელ მსოფლიოში ან კლიენტთა მხოლოდ მიზნობრივ ჯგუფზე;
- ინტერნეტის საშუალებით გადასახადების გადახდა;
- ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაცია და ავტომატიზაცია;
- ბიზნესის ცალკეული მიმართულებების განვითარება;
- მარკეტინგულ ღონისძიებებზე და რეკლამაზე ხარჯების შემცირება.

ინტერნეტ-ბიზნესის ტექნოლოგიების წარმატებული გამოყენებისათვის აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს როგორ და რა ფორმით იქნება სასარგებლო მათი გამოყენება. [6].

ინტერნეტ-ბიზნესის ინსტრუმენტებს წარმოადგენს:
1. კორპორატიული ვებ-საიტი; 2. ინტერნეტ-მაღაზია; 3. ინტერნეტ-აუქციონი; 4. ინფორმაციული ბიზნეს-პორტალი; 5. ინტერნეტ-პორტალი; 6. ინტერნეტ-მარკეტინგი; 7. ინტერნეტ-ბანკინგი.

კორპორატიული ვებ-საიტი – ეს არის ინფორმაციული გვერდი, რომელიც მოიცავს მონაცემებს კომპანიასთან თანამშრომლობის წინადადებებთან, პროექტებთან, საქონელსა და მომსახურებასთან, საქმიანობის სახეებთან დაკავშირებით. **ინტერნეტ-მაღაზია** წარმოადგენს „on-line" ან ტრადიციული ბიზნესის ვიტრინას, რომელზეც განთავსებულია საქონელი და მომსახურება მისი შემდგომი რეალიზაციისათვის. **ინტერნეტ-აუქციონი** არის სავაჭრო ვიტრინა, რომლის მომხმარებელს შეუძლია გაყიდოს ნებისმიერი საქონელი, ამგავრი აუქციონის მფლობელის შემოსავალი არის გარიგებიდან მიღებული საკომისიო. ინტერნეტ-აუქციონი შეიძლება წარმოადგენდეს ინტერნეტ-მაღაზიის შემადგენელ ნაწილს, რომელიც თავის მხრივ კორპორატიული ვებ-საიტის შემადგენელია. **ინფორმაციული ბიზნეს პორტალი** არის ავტომატიზებული ინფორმაციული საძიებო სისტემა, რომელიც ქმნის და ინახავს „on-line" რეჟიმში მასში დარეგისტრირებული, საკუთრების ნებისმიერი ფორმის მქონე ორგანიზაციის საინფორმაციო ბარათებს და კომერციულ განცხადებებს. **ინტერნეტ-ბირჟა** არის სავაჭრო მოედანი, სადაც ხორციელდება ფირმებს შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა. ინტერნეტ-ბირჟის მფლობელის შემოსავალი არის ყიდვა-გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული საკომისიო, მაგრამ თუ იგი წარმოადგენს მყიდველს ან გამყიდველს, ხარჯების შემცირება. **ინტერნეტ-მარკეტინგი** არის ინტერნეტ-ბიზნესის

უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი. **ინტერნეტ-ბანკინგი** ეს არის ტრადიციული და ვირტუალური ბანკი, რომელიც ინტერნეტის ქსელში ახორციელებს საბანკო მომსახურებას. [2].

ეკონომიკის ახალი სექტორის – ინტერნეტ-ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ძალზე პერსპექტიულია. მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო იზრდება.

4. ელექტრონული ვაჭრობის ფორმები

ეკონომიკური საქმიანობა ინტერნეტის საშუალებით სამი მიმართულებით ხორციელდება. „ბიზნესი-ბიზნესი" (B2B), „ბიზნესი-მომხმარებელი" (B2C), „ბიზნესი-სახელმწიფო" (B2G). ასეთი კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ზუსტად შეფასდეს ელექტრონული ვაჭრობის უპირატესობა და სირთულე. [5].

„ბიზნესი-ბიზნესს" (B2B) ადგილი აქვს, როდესაც ორი კომპანია ახორციელებს გარიგებას ინტერნეტით. მაგალითად, კომპანიებს შეუძლიათ ინტერნეტში განათავსონ ინფორმაცია დადებული გარიგებების შესახებ, მიიღონ კოტირება მომწოდებლებისაგან, მიიღონ და დაფარონ ანგარიშები. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ელექტრონული–ბიზნესის ყველაზე პერსპექტიულ სფეროს. იგი ხელს უწყობს ფირმებს ახალი კავშირების დამყარებაში როგორც შიდა, ასევე მსოფლიო ბაზარზე.

შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს B2B სექტორის განვითარებაზე.

1. **საერთო ეკონომიკური ფაქტორები:** - ეკონომიკის „ჩრდილოვანი სექტორის" მაღალი დონე, რომელიც ხშირად მჭიდროდ არის დაკავშირებული ლეგალურ ბიზნესთან; - წარმოების მონოპოლიზაციის მაღალი დონე; - ბიზნესისათვის არახელსაყრელი საგადასახადო სისტემა, რაც ხშირად აიძულებს მეწარმეებს გადასახადებისაგან თავის არიდებას; - არსებული რესურსების არაოპტიმალური გამოყენება.
2. **ინფრასტრუქტურა:** - ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის დაბალი დონე; - ტელეკომუნიკაციების განვითარების დაბალი დონე.
3. **მმართველობითი ფაქტორი:** - ზოგადად, კორპორატიული მართვის დაბალი ეფექტიანობა; - ხელმძღვანელთა უმრავლესობის მხრიდან მართვის ახალი მეთოდების მიმართ ნაკლები ინტერესი.
4. **კანონმდებლობა:** - ელექტრონული ვაჭრობის საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა (კერძოდ, კანონი ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ).

ელექტრონული ვაჭრობის მეორე ფორმაა „ბიზნესი-მომხმარებელი" B2C. ეს ელექტრონული ვაჭრობის ყველაზე პოპულარული ფორმაა. ამ შემთხვევაში საწარმო პროდუქციას ყიდის უშუალოდ მომხმარებელზე. ამ სფეროში ყველაზე მსხვილი საწარმო არის Amazon.com - საცალო ვაჭრობის ამერიკული ფირმა, რომელსაც ჰყავს 30 მილიონზე მეტი მომხმარებელი მთელს მსოფლიოში. ფირმამ შექმნა ქსელი, რომლის საშუალებითაც ახორციელებს მომხმარებლამდე საქონლის მიტანას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

სექტორი „ბიზნესი-სახელმწიფო" B2G ასახავს ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობას სამთავრობო შესყიდვების განხორციელებისთვის. ამგვარი ურთიერთობა მოიცავს კავშირს კომერციულ სტრუქტურებს, სამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ვაჭრობის ორგანიზატორებს წარმოადგენს სახელმწიფო და მუნიციპალური დამკვეთები. ვაჭრობაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს ფირმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, საკუთრების, ადგილმდებარეობის, კაპიტალის წარმომავლობის მიუხედავად.

3. დასკვნა

ყოველწლიურად ინტერნეტი სულ უფრო ღრმად იჭრება კომპანიების საქმიანობაში, ცვლის მართვის წესს, ბიზნესის სახეს. მას აქვს საკუთარი კანონები, შესაძლებლობები და თავისებურებები. 1996 წლიდან, როდესაც ფაქტობრივად ჩაისახა ელექტრონული ვაჭრობა, ინტერნეტის საშუალებით იყიდებოდა ყველაფერი, რისი შეძენაც შეიძლებოდა ჩვეულებრივ მაღაზიებში [4]. ინტერნეტ-ეკონომიკასთან დაკავშირებული კვლევები ადასტურებს, რომ ინფორმაციული ბიზნეს-პორტალის შექმნა წარმოადგენს ინტერნეტის ქსელში ბიზნესის წარმოების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფორმას.

ლიტერატურა:

1. Российская розничная интернет-торговля еще не сформирована/Ресурсы Интернет – http://www.rutracker.com/technology-news/id_26301/

2. Богданов В.В. - Управление проектами в Microsoft Project. СПБ.:Питер, М.2006

3. Поздняков В.В. Интернет-торговля сегодня, - М.: «Альянс – медиа», №6, 2005, ст.25-27.

4. Россия вошла в тройку самых быстрорастущих интернет-аудиторий/Ресурсы Интернет:- http://www.adme.ru/internet/2007/03/13/16002/

5. Сакун Ю. От бизнеса к бизнесу // ИнфоБизнес. – 2007. – №9. – С. 28 – 29.

6.Шарбинин А.С. Стриженко А.А. Опыт и перспективы использования сети Интернет в коммерерческих целях. Б. 2005.

ОРГАНИЗАЦИЯ БИЗНЕСА В СЕТИ ИНТЕРНЕТ

Мдинарадзе К.
Грузинский Технический Университет

Резюме

Использование Интернета в традиционном бизнесе приобретает стратегическое значение. Сейчас в наших условиях Интернет может быть не только дополнительным каналом реализации продукции и инструментом решения отдельных маркетинговых задач. По мере роста общего количества посетителей Интернета, он превращается в основной маркетинговый канал. “Интернет – экономикой” принято называть применение современных информационных технологий в бизнесе. “Интернет-экономика” начинает переворачивать бизнес. “Интернет" коренным образом меняет методы работы многих компаний - заметнее всего в области высоких технологий, но сегодня они проникают и в другие сферы - машиностроение, химию, биотехнологию, медицину, финансовые и фондовые рынки, нефтяные газодобывающие отрасли и т.д. Современные тенденции развития этого нового сектора экономики - интернет-бизнеса – являются весьма перспективными, его роль в мировой и национальной экономике возрастает.

ORGANIZATION OF BUSINESS IN THE NETWORK OF INTERNET

Mdinaradze Ketevan

Georgian Technical University

Summary

The use of the Internet in the traditional business acquires strategic importance. Now under our conditions the Internet can be not only the supplemental channel of selling of production and the tool of solution of single marketing problems. In proportion to an increase in the total number of visitors of the Internet, it is converted into the basic marketing channel. “The Internet - by the economy” it is accepted to call the application of up-to-date information texnologies in the business. “The Internet- economy” begins to turn over business. “The Internet” radically changes the methods of operation of many companies - most noticeable in the region of high technologies, but today they penetrate also other spheres - most noticeable in the region of high technologies, but today they penetrate also other spheres - machine building, chemistry, biotechnology, medicine, financial and fund markets, the petroleum gas-extraction branches, etc. The up-to-date trends of development of this new sector of economy - Internet- business - are very promising, its role in the world and national economy grows.